სსიპ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბრძანება

16.09.2015 № 173

სტუ-ს 2015 წლის 04 აგვისტოს №144
ბრძანების ცვლილების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

I. ნაწილობრივ შეიცვალოს „სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ“ სტუ-ს 2015 წლის 04 აგვისტოს №144 ბრძანების მე-6 და მე-7 მუხლები და ისინი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. სტუ-ს ფაკულტეტების დეკანებმა უზრუნველყონ მაგისტრანტობის კანდიდატებთან ხელშეკრულების გაფორმება 2015 წლის 21 სექტემბრის 15 საათამდე.

7. სწავლების დეპარტამენტმა 2015-2016 სასწავლო წლისათვის სამაგისტრო პროგრამებზე ჩასარიცხად მოამზადოს რექტორის ერთიანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (ბრძანება) 2015 წლის 21 სექტემბერს და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს მისი წარდგენა შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრსა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.“

II. ბრძანება გამოიკრას უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში და ფაკულტეტებზე თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს სტუ-ს ვებგვერდზე.

III. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ვიცე-რექტორს ლ. კლიმიაშვილს.

IV. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი ა. ფრანგიშვილი

ვიზები:

ვიცე-რექტორი
ლ. კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის უფროსი
ი. ლომიძე

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის
უფროსი ბ. მაისურაძე